წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — ოთხშაბათი, 6 მკათათვე 1916 წ. — № 149

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. — **საქართველო** — წელიწადი მეორე.

**ფასი ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივს ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ღრმად დამწუხრებულნი: დედა სოფიო მიქელაძის ასული გოგოლიშვილისა, ძმა ნოე ომში მებრძოლი კაპიტანი, დები: ვარდო, სადა კორძაიასი, სონა ჭსაბაშვილისა, მარიამ ჩხატარაიშვილისა, სიძეები: მიხაილ კორძაია, ივანე საბაშვილი, ნესტორ ჩხატარაიშვილი. ბიძაშვილი გეორგი გოგოლიშვილი ვაუწყებთ გულითადი მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა შორის, რომ 7 მკათათვეს შუადღის 12 საათზე ს. ლიხაურის (ოზურგეთის მაზრაში) წმიდა დავითი და კონსტანტინეს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ომში გარდაცვალებულის შტაბს კაპიტნის

მაკარი იოსების ძის
**გოგოლიშვილის**
სულის მოსახსენებლად

თავზარდაცემული თავადი ნიკოლოზ კაციას ძე და კნეინა ელენე ალექსანდრეს ასული დადიანები უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოსმალეთის ასპარეზზე გმირულად განიწირა მათი უსაყვარლესი პირმშო, მისი უდიდებულესობის დრაგუნთა პოლკის კორნეტი

თ-დი ლევან (ანდრია) ნიკოლოზის ძე
**დადიანი**

დაკრძალვა მოხდება 6 მკათათვეს სოფელ ჯვარში (ზუგდიდის მაზრა) კვარზენის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.
(1-164-1)

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ოთხშაბათს, 6 თიბათვეს ქართული დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
**ვისი შვილია?** კომ. 1 მოქ. თარგ. მ. ქორიძისა. | **სიმართლე** ვოდ. 1 მოქ. თარგ. მ. ქორიძისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ვ გუნია, იმედაშვილი და სხვები.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა ✦ სტუმრები საზოგადო წესით.
(1-164-1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
**კაფე პარიზი**
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური — პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

**ვაგზლის სამკურნალოში**
(მიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი
**ნიკო გ. სესიაშვილისა**
✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦
**კახური ღვინო**
განოვის ქუჩა № 4.
——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———
(185—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) — ტელეფონი 5—96.

**ვამზადებთ**
პირობით ხელმისაწდომ ფასებში
**პრაპორშჩიკთა შკოლისათვის**
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—19

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
**ა. დ. შაჰბაზიანცი**
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში
**ექიმი**
**დ. კ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
**მ. ი. ვაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა
**მამულაიშვილმა**
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## თბილისი, 6 მკათათვე

*როგორი სწავლა უნდა ხალხს.*

ჩვენი საზოგადოება დიდს წყურვილს იჩენს სწავლა-განათლებისადმი. სახალხო სკოლების რიცხვი სწრაფად იზრდება. დღითი-დღე მატულობს საშუალო სასწავლებელთა და მასში მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვიც. ესევე ითქმის უმაღლეს სწავლა განათლების შესახებ. ამისდა მიუხედავად ჩვენი ცხოვრების დიდი ცოდნა-დაკვირვება არ დაგვჭირდება, რომ სრულის რწმენით და შეგნებით აღვიაროთ, რომ ჩვენი ერის სწავლა-განათლება, მისი გონებრივი განვითარება მრუდე და მცდარი გზით ვითარდება და ძირითადს ცვლილებებს მოითხოვს.

ადამიანის ჭკუა-გონება მუდამ დიდს იარაღს წარმოადგენდა არსებობისთვის ბრძოლაში. კუნთების სიმძლავრე ანუ სიმარდე და სხვა რაიმე ფიზიკური თვისება კი არ ანიჭებდა უპირატესობას ადამიანს სხვა ცხოველთა შორის, არამედ გონება მისი, რომლის შემწეობით ადამიანი იპყრობს და იმორჩილებს გარეშე ბუნებას და მის ძალებს. გონების წრთვნა-განვითარების სარგებლობა სწორედ ამაშია.

სწავლა-განათლების შემწეობით თანამედროვე ადამიანი იუმჯობესებს არსებობის, ბრძოლის იარაღს. ნასწავლი და დახელოვნებული უფრო ძლიერია ამ სასტიკ ბრძოლაში. ის უფრო ადვილად ჰპოულობს საჭირო საზრდოს, ნაკლები შრომით მეტი ჭირნახული მოჰყავს, უკეთეს ბინას და ტანსაცმელს იწყობს და თავის ჯანმრთელობასაც უკეთ უვლის და ჰპატრონობს. ამის შემდეგ — როდესაც ადამიანს მოპოებული აქვს არსებობისთვის ყოველი საჭირო და მიუცილებელი, ის გონებასაც წრთვნის და ავარჯიშებს და ეს მისთვის ერთგვარი გასართობია, სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. ასეთია ბუნებრივი გზა ხალხთა გონებრივი განვითარებისა. უპირველეს ყოვლისა სწავლობენ ჭირნახულის მოყვანას, რომ რაც შეიძლება ნაკლების შრომით მეტი საზრდო მოიპოვონ. ამისთვის მებაღეობის, მებოსტნეობის, მერძეობის დასხვა ამ გვარ ხელ. სკოლებს ჰმართავენ. ამის შემდეგ ბუნების დაფარულ ძალების და სიმდიდრის გამოსაყენებლად იმართება მრავალგვარი ტეხნიკური და საპროფესიო სასწავლებლები. ასეთი სწავლა-განათლება ბუნებრივი განვითარებაა იმ ხელობისა, რომლის შემწეობით ადამიანი აუცილებელ საჭიროებას იკმაყოფილებს.

განათლებული აგრონომი იგივე მეურნეა, მაგრამ ახალი ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი, ტეხნიკოსი— იგივე დურგალი—ð კალატოზი, რომელიც ნაკლების შრომით და უკეთესი ხელოვანებით უკმაყოფილებს საზოგადოებას მის უპირველეს საჭიროებებს. რამდენათ ერში მრავალ რიცხოვანია ასეთი განათლებული აგრონომებისა, ტეხნიკოსების თუ სხვა დარგის ხელოსნები, მით ერი უფრო უზრუნველყოფილია უპირველეს საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, მით უფრო მდიდარია იგი ქონებით და დოვლათით, მით უფრო მკვიდრია და მტკიცე ასეთი ერის ზრდა განვითარების ნიადაგი. ამიტომ არის რომ დაწინაურებული ერები გაფაციცებით ამრავლებენ ტეხნიკურ და საპროფესიო სასწავლებლებს.

ჩვენში კი სულ სხვაა. ჩვენთვის არ არსებობს არც აგრონომიული, არც ტეხნიკური ან საპროფესიო და სამრეწველო სწავლა-განათლება. ორიოდე უმნიშვნელო სახელოსნო სასწავლებელი, ანუ დაბალი საბაღოსნო სკოლა, რომელნიც ჩვენ მოგვეპოება, წვეთია ზღვაში. სასწავლებელთა რიცხვი კი ჩვენს სამშობლოში დღითი-დღე მატულობს. იხსნება ახალი დაბალი და საშუალო სასწავლებლებიც. ყველა საზოგადო განათლების, კლასიკური სწავლის მიმცემი. ამის შესახებ ცნობებს ხშირად შეხვდებით ჩვენს ჟურნალ გაზეთებში. ამა და ამ დაბაში განზრახული აქვთ პროგიმნაზიის გახსნა, აზრად აქვთ პროგიმნაზიის გიმნაზიად გადაკეთება. უმაღლესი სწავლა განათლებასაც ხომ ასეთს ვღებულობთ იურისტები, ბუნების მეტყველნი, ისტორიკოსები და სხვა. თითქოს მთელი საქართველოსი ერთს სამეცნიერო აკადემიათ გადაქცევა გვსურდეს... სულ სხვაა როგორი ღირსების იქმნება ეს აკადემია... საგულისხმოა თვით ეს მოვლენა. არა ბუნებრივი, უნიადაგო...

ჩვენსავით ქონებრივად დაქვეითებული ერი, უპირველესად ყოვლისა უნდა სცდილობდეს თავისი ეკონომიური ცხოვრების განმტკიცებას. უნდა სცდილობდეს მეურნეობისა, მრეწველობისა, აღებ-მიცემობის აყვავებას. ამისთვის კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სწავლა-განათლება აგრონომიული და ტეხნიკური. თორემ ასეთს მდგომარეობაში, როდესაც ქართველი ერი წლითი-წლობით იმშევა და საკმაო მჭადიც კი არ მოეპოება, უსარგებლოდ და უნაყოფოდ ჩაივლის ყოველგვარი მისი წყურვილი საზოგადო განათლებისა, წმინდა ხელოვნებისა, თუ მეცნიერებისა.

ასეთს პირობებში ის ვერ გამოიყენებს ყველა თავის სულიერ ძალებს და ვერ შეჰქმნის დიად რამეს ვერც მეცნიერებასა და ვერც ხელოვნებაში.

განსაცვიფრებელია, რომ ჩვენი სწავლა-განათლების უკუღმართობა ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნია. ჩვენი გიმნაზიები და პროგიმნაზიები მხოლოდ მოხელეებს გვიზრდის. სხვა რა არის მათი სარგებლობა? უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობაზე ქართველი ერი წლიურად ორ-სამ მილიონ მანეთს ჰხარჯავს.

როდესაც ისინი სწავლას დაამთავრებენ ამ ხარჯის მეათედ ნაწილს მაინც დაუბრუნებენ თავის ერს? ასეთ სწავლა მიღებულებით აღვსილია რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები. სამშობლოდან გადახვეწილი ჩინოვნიკობა თუ სამუდამოდ დაკარგული არ არის თავისი ერისთვის, მისთვის უსარგებლო და გამოუსადეგარი ხომ უთუოდ არის. ასეთ შედეგებს იძლევა დღევანდელი ჩვენი სწავლა-განათლება და ჩვენ კი არ გვსურს ამისი შეგნება. ნუ თუ ჩვენ საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც ყოველთვის თაობენ სხვა და სხვა გიმნაზიების აშენებას ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ ასეთი სასწავლებლები არამც თუ გამოუსადეგარია ჩვენი ცხოვრების საჭიროებებისთვის და არავითარი მისთვის სარგებლობა არ მოაქვს, არამედ აშკარად მავნებლებიც კი არიან.

## ექიმთ 10 სტიპენდია!

წავიკითხე ბ. ვ. ბეგლეველის შენიშვნა „თბილისის საოსტატო ინსტიტუტი“, „საქართველოს“ მე-90 ნომერში მოთავსებული და მის-მიერ გამოწვეული განმარტებითი პასუხი დიდად პატივცემული პედაგოგის და ჩემი საყვარელი მასწავლებლის ბ. გიორგი ნ. იოსელიანისა ამავე გაზეთის მე-100 ნომერში.

ოთხმოციან წლებში ხსენებულ ინსტიტუტში მოწაფედ ვიყავი და შემდეგ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში იქვე ვმასწავლებლობდი. ამიტომ შემიძლიან ბ.ბ. ძეგლეველის და იოსელიანის წერილებს ორიოდე სიტყვა მეც დაუმატო.

ჩემ დროსაც მუდამ წელიწადს ქართველ ღარიბ თავად-აზნაურთა ათი შვილი იზრდებოდა სახელმწიფო ხარჯზე ინსტიტუტის პანსიონში. დღეს, როგორც გაზეთებიდან არა ერთხელ მსმენია, ეს სტიპენდიები ქართველებისთვის სრულიად მოუსპიათ. ვის მოუსპია და რა უფლებით? ან, იქნება, ქართველი თავად-აზნაურობა იმდენად მოღონიერდა და გამდიდრდა ნივთიერად, რომ სრულიად აღარ ჰსაჭიროებს ხაზინის დახმარებას შვილების აღზრდის საქმეში? თუ ეს ასე არ არის, მაშ თავად-აზნაურობა რატომ ხმას არ იღებს? რატომ არ ეძიებს დაკარგულ სტიპენდიებს? ნუთუ ქართველი თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი ქართულ გაზეთებს არა კითხულობენ? ბ.ბ. ძეგლეველის და იოსელიანის ხმები რომ პირველად არ გაისმის ამ სტიპენდიების დაკარგვის შესახებ. რას მივაწეროთ ეს დუმილი?

ნუკი გამირისხდებიან ჩვენი წარჩინებული წოდების წარმომადგენელნი და ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევას უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ კადეტთა კორპუსში რომ მომხდარიყო, რადგან იქ დიდ გვაროვანთა შვილები იზრდებიან; მაგრამ საოსტატო ინსტიტუტიკი სულ სხვაა: აქ უფრო ხშირად ყელგადაგდებული ვინმე თუ შედის: ობოლი, ღარიბ-ღატაკი, უმიწაწყლო და ასეთ ადამიანისთვის კიდევ აბა ვინ დაჰხარჯავს ზრუნვასა და პატრონობას: გამოსაჩენი და სახოტბაო აქ არაფერი აღმოჩნდება.

დაახლოვებით ამ საკითხის ისტორია მე ასე ვიცი. როცა მე ოთხმოციან წლებში ინსტიტუტში ვსწავლობდი, დირექტორად იყო ცნობილი პედაგოგი ნ. ზახაროვი.ამ დირექტორისაგან ხსენებულ სტიპენდიების შესახებ გამიგონია შემდეგი. როცა იმპერატორი ალექსანდრე მეორე 70 წლებში საქართველოს ესტუმრა, ქართველ თავად-აზნაურობას ჩინებულ მასპინძლობის გამო ნიშნად უღრმესი მადლობის სხვათა შორის უწყალობებია ღარიბთა შვილების აღსაზრდელად ათი სახელმწიფო სტიპენდია საოსტატო ინსტიტუტში. მართლაც, ამ დროდგან, როგორც მოწაფეებს შემჩნეული გვქონდა, დირექტორი ზახაროვი ყოველთვის ცდილობდა ხელმწიფის ბრძანება აესრულებინა და პანსიონში უეჭველად ათი ადგილი ქართველ თავად-აზნაურთა შვილებსათვის დაეთმო. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მისაღებ გამოცდის დროს თავად-აზნაურნი ზოგიერთ საგანში ჩაჭრილან; მაგრამ ზახაროვს აღნიშნულ სტიპენდიათა რიცხვის შესავსებად პანსიონში მიუღია ისეთი თავად-აზნაურთაგანი, რომელსაც ცუდი ნიშნებიც კი ჰქონია მიღებული.

ასე ხდებოდა იმ დროს, როდესაც კავკასიის სწავლა განათლების ოლქის მზრუნველად იყო ბ. ნეველოვი.

ნეველოვის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა იანოვსკიმ. ეს იანოვსკი, როგორც ჩვენს პრესაში არა ერთხელა ყოფილა აღნიშნული, მედგარი გარუსების მოტრფიალე და დიდი მოძულე იყო ყველა არა-რუსთა და ნამეტნავად ქართველებისა. სიტყვა „საქარ-

თველო“ მას ისტერიკას ჰგვრიდა და ვაი იმისი ბრალი, ვინც მის წინაშე ამ სიტყვის თქმას გაბედავდა. ამავე გზას დაადგა ამისი მოადგილე, აწ სენატის დამამშვენებელი ბ. ზავადსკი.

ეს ორი ვაჟბატონი და, ნამეტნავად, პირველი აშკარად, მოურიდებლად, საქვეყნოდ გაიძახდნენ: „ჩვენ ქართველი მასწავლებელი არა გვჭირია, ჩვენ გვინდა რუსი მასწავლებელიო.“ ეს სიტყვები მათ, რასაკვირველია, საქმედაც აქციეს: როცა მათ კაბინეთში ადგილის სათხოვნელად ქართველი მასწავლებელი შედიოდა, ეუბნებოდნენ—არ არის თავისუფალი ადგილიო, თუ იმავე წუთს რუსი შევიდოდა, იმისთვის ადგილი მზად იყო.

ალექსანდრეს სახელობის თბილისის საოსტატო ანსტიტუტი, რასაკვირველია, ბუდე იყო, საცა იჩეკბოდნენ ქართველი მასწავლებლები. იანოვსკიმ მიაქცია ამ სასწავლებელს თავისი ღვარძლიანი ყურადღება და მოისურვა ქართველ მოწაფეთა რიცხვის შემცირება. ეს სურვილი გამოიხატებოდა იმაში, რომ ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორ ბ. სტრელეცკისთვის ებრძანებინა: „ინსტიტუტებში არავინ მიიღოთ იმისთანა, ვინც წმინდა რუსულ აქცენტით არა ლაპარაკობსო“. ეს ბრძანება, რასაკვირველია, იმას ჰნიშნავდა, რომ ქართველები აღარ მიეღოთ, რადგან წმინდა რუსული კილოთი მოლაპარაკე ყმაწვილი საქალაქო სასწავლებელში (ეხლანდელი უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი) კურს დამთავრებულთა შორის თითქმის სრულიად არ მოიძებნებოდა; ინსტიტუტში შესასვლელად-კი სწორედ ეს სასწავლებლები ამზადებდნენ ყმაწვილებს.

ალ. მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება.)

## თბილ. ქართ. გიმნაზიის ანგარიშების შესახებ

(დასასრული, იხ. გაზ. „საქართ.“ № 148)

როგორც ხედავთ, აქ აღნიშნულია მხოლოთ მიზეზი სასწავლებლის განებებისა და გამოტოვებულია არა ნაკლებად საყურადღებო და საჭირო ცნობები იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვიათ ჩვენს სასწავლებლის გარეშე დარჩენილ მოწაფეებს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ 1914 წ. და 1915 წლის ანგარიშებში მოთავსებულია მეტად საყურადღებო ცნობები, რაც წინა წლების ანგარიშებში სრულიად არ მოიძებნება. სახელდობრ—აღნიშნულია კურს დამთავრებულ მოსწავლეთა წლოვანობა და აგრეთვე ნაჩვენებია კლასი ან განყოფილება, რომელშიაც შემოსულა მოწაფე.

„49 მოწაფეთაგანი 18 წლისა და მეტისა იყო—3; 19 და მეტისა—10; 20 და მეტის—6; 21 და მეტის—7; 22 და მეტის—10; 23 და მეტის—8; 24 და მეტის—3; 25—და 26—1. პირველ განყოფილებიდან სწავლობენ—17 მოწაფე; მეორიდან—7; მესამიდან—1; მეოთხიდან—1; პირველ კლასიდან—6; მეორიდან—3; მესამიდან—4; მეოთხიდან—3; მეხუთიდან—2; და მეექვსიდან—5.“

რაც შეეხება, საანგარიშო წლის განმავლობაში ახლად მიღებულ მოწაფეთა შესახებ ცნობებს, ეს ნაწილი ანგარიშებისა უფრო შეკვეცილად არის მოყვანილი 1914-სა და 1915 წლის ანგარიშებში; სახელდობრ—წინა წლების ანგარიშებში დაწვრილებით იყო ხოლმე აღნიშნული, რომელ განყოფილებაში ან კლასში რამდენი მოწაფეც იყო მიღებული. 1915 წლის ანგარიშში კი ეს ცნობები ამგვარად არის შეკვეცილი: „საანგარიშო წლის განმავლობაში ჩაუბარებიათ გამოცდა და შემოსულა პირველ განყოფილებაში 83 ბავშვი, დანარჩენ კლასებში 44“.

არ შეგვიძლიან აუხვიოთ გვერდი და არ შევეხოთ ცნობებს, რომელიც მოთავსებულია ზოგიერთ წელთა ანგარიშების საექიმო ნაწილის განყოფილებაში. ეს ცნობები მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო ცნობებად მიგვაჩნია და, ჩვენის აზრით, ფრიად სამწუხაროა, რომ ამისათვის არ მიუქცევიათ სათანადო ყურადღება და ბოლო წლების ანგარიშებში, ან მთლადაა გამოტოვებული ეს ცნობები, ან და მეტად შეკვეცილად არის მოყვანილი.

პირველად, და ამასთანავე უფრო სავსებით, ეს ცნობები მოყვანილია 1910 წლის ანგარიშში და შეეხება მოწაფეთა ცხოვრების ჰიგიენურ პირობებს. მაგალითად, მოწაფეთა ბინების მდგომარეობის შესახებ მოყვანილია შემდეგი მეტად საგულისხმიერო ცნობები:

ერთ ოთახიან ბინაში სცხოვრ 236 მოწაფე, ანუ 42%, ორ ოთახიან ბინაში 215 მოწ., ანუ 32%, სამ ოთახიან ბინაში 97 მოწ., ანუ 15%, სამზე მეტ ოთახიან ბინაში 65 მოწაფე, ანუ 10%.

რაც შეეხება ზემო აღნიშნულ ბინებში მცხოვრებ სულთა რაოდენობას —არა ნაკლებად საგულისხმიერო რიცხვებს ამოიკითხავთ ანგარიშის იმავე გვერდზე:

ერთ ოთახიან ბინაში სცხოვრობს: 1 სული—6; 2 სული—30; 3 სული—30; 4 სული—50; 5 სული—50; 6 სული—27; 7 სული—22; 8 სული—12; 9 სული—7; 10 სული—6;

ორ ოთახიან ბინაში სცხოვრობს: 2 სული—7; 3 სული—13; 4 სული—22; 5 სული—38; 6 სული—38; 7 სული—45; 8 სული—25; 9 სული—14; 10 სული—13;

სამ ოთახიან ბინაში სცხოვრობს:

4 სული—12; 5 სული—20; 6 სული—19; 7 სული 26; 8 სული—20.

„რაც შეეხება საცხოვრებელ ბინების ვინტილიაციას—ეს ხომ სულ სავალალო მდგომარეობაშია. სულ უბრალო ხელოვნურ ვინტილიაციას მოკლებულია 71% მოწაფეთა ბინებისა“-ო. მოხსენებულია ზემო აღნიშნულ ანგარიშის 25 გვერდზე—საექიმო ნაწილის საერთო მიმოხილვაში და შესაფერისი სტატისტიკური ცნობებიც მოყვანილია იმავ ანგარიშის მე 31-ე გვერდზე.

მეტად საყურადღებო ცნობებია მოყვანილი აგრედვე მოწაფეთა „უმეღლობის“ შესახებ. მაგალითად, იმავე 32 გვერდზე ვკითხულობთ შემდეგ შემზარავ რიცხვებს:

| | |
|---|---|
| ხშირად მშიერი რჩება. . | 87 მოწ. |
| სჭამს პურს დღეში ერთჯერ . . . . . . | 65 „ |
| სჭამს პურს დღეში ორჯერ . . . . . . | 170 „ |
| სჭამს პურს დღეში სამჯერ . . . . . . | 321 „ |
| სჭამს პურს დღეში სამზე მეტჯერ . . . | 57 მოწ. |

თქვენ თუ შეაერთებთ პირველ სამ წყების რიცხვებს, დაინახავთ, რომ თითქმის ნახევარი რიცხვი მოწაფეთა ერთგვარ უჭმელობასა და სიმშილს განიცდის.

(გაკვრით, არ შეგვიძლია სურვილი არ გამოვსთქვათ იმის შესახებ, რომ კარგი იქნება, თუ გიმნაზიასთან არსებული სასადილოს საზოგადოებაც მოათავსებს ხოლმე ყოველწლივ თავის ცნობებს გიმნაზიის საერთო ანგარიშებში).

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი ცნობები, რომელიც შეეხება მოწაფების დანაწილებას მშობელთა პროფესიის მიხედვით. ეს ცნობები მოყვანილია იმავე საექიმო ნაწილში—34 გვერდზე:

| | |
|---|---|
| სასულიერო პირთა შვილი. . | 46 |
| მოხელეთა. . . . . . | 86 |
| მასწავლებელთა . . . . | 16 |
| დანარჩენ ინტელიგ. პროფესიისა . . . . | 81 |
| მიწის მფლობელი . . . . | 66 |
| მოვაჭრე. . . . . . | 96 |
| ხელოსანი . . . . . | 82 |
| მიწის მუშა. . . . . . | 49 |

აღვნიშნავთ კიდევ მხოლოდ ერთს საყურადღებო ცნობებს, რომელიც მოყვანილია ანგარიშის იმავე გვერდზე და—შეეხება მოწაფეთა ბინადრობას სწავლის დაწყებამდე. სახელდობრ—აღნიშნულია, რომ სწავლის დაწყებამდე სცხოვრობდა ქალაქში—165 მოწაფე; სოფლად კი—348 მოწაფე.

ჩვენის აზრით, ეს ბოლო ცხრილები მაინც, სახელდობრ—ცნობები მშობელთა პროფესიის და სწავლის დაწყებამდე მოსწავლეთა ბინადრობის შესახებ, საექიმო ნაწილში კი არ უნდა იყოს მოყვანილი, არამედ იქ, სადაც მოყვანილია, ჩვენ აქ ადგილი კი არ გვაინტერესებს, არამედ საქმის ვითარება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ცნობები რომელიც მოყვანილია საექიმო ნაწილში, შეგროვილია ექიმის მიერ ბავშვების დათვალიერებისა და წამლობის დროს. ადვილად წარმოსადგენია, რომ ექიმს არ შეეძლოს ყოველივე მოსწავლის დათვალიერება, რის გამო ზემო აღნიშნულ ცხრილებში არ შედის მთელი რიცხვი გიმნაზიაში მყოფ მოსწავლეთა. ასე მაგალითად—ზემოაღნიშნული ცნობები შეეხება მხოლოდ 513 მოწაფეს, მაშინ როდესაც სასწავლებელში მყოფ მოსწავლეთა რიცხვის რაოდენობა 753 უდრიდა.

საგაზეთო წერილში, რასაკვირველია, ძნელია და შეუძლებელიც არის ყოველივე წერილმანის აღნიშვნა, რაც გინდ რომ საყურადღებო და მნიშვნელოვანიც იყოს იგი. ამისათვის, გვერდს აუხვევთ ჩვენ და არ შევეხებით თბილისის ქართულ გიმნაზიის ანგარიშებში ბევრ სხვა დაშვებულ დეფექტებს, რომელთა შესწორება და შევსებაც იქნებ უფრო მეტად საჭიროებდეს საქმისათვის, ვიდრე ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული რომელიმე დეფექტი. ჩვენის აზრით, ამ საჭირო და ამასთანავე მეტად რთულ საკითხის სავსებით და სათანადო განხილვა მოწესრიგების საქმე, აღემატება ყოველივე კერძო ინიციატივის ძალღონესა და საშუალებას. და. ამიტომ, ამ საქმის მოწესრიგება და გაძღოლა უნდა მიენდოს ისევე თვით გიმნაზიის მმართველ-გამგეთ, რომელთაც შეუძლიათ, საჭიროებისამებრ, სხვა მცოდნე პირების მოწვევაც.

ქართულ გიმნაზიის ანგარიშების საერთო ფორმის შესამუშავებლად, საჭიროა არა მარტო თვით ჩვენივე გიმნაზიის მიერ გამოცემულ ანგარიშების დაწვრილებითი გადამოწმება და შესწავლა, არამედ აუცილებლადაა საჭირო აგრეთვე სხვა და სხვა, ჯეროვნად დაყენებულ, კერძო და სახაზინო სასწავლებელთა ანგარიშების გაცნობაც. ყველა ამ მასალების გაცნობასა და შესწავლასთან ერთად, საჭიროა აგრეთვე—ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ჩვენს გიმნაზიის და საერთოდ ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებსაც. და სწორედ ამ მხრივ—საჭიროდ და აუცილებლადაც მიგვაჩნია, რომ ერთხელ მაინც მოხდენილიყოს გიმნაზიაში მყოფ მოწაფეთა სრული და ყოველმხრივი ანკეტა; ამგვარი ანკეტა, ანუ მოწაფეთა სრული აღწერა მათი ცხოვრებისა და მდგომარეობის სხვა და სხვა მხარეთა გამოსარკვევად, მოგვცემს ჩვენ ძვირფას მასალას. რაიც არსებით ნათელს მოჰფენს იმ დაუსრულებელსა და დახლართულ საკითხს, რომელსაც ეწოდება: „თბილისის ქართულ გიმნაზიის საკითხი“.

ვიმეორებთ—დღევანდელ წერილში ჩვენ შემუშავებულადაც მიგვაჩნია ამ საკითხის შესახებ არსებითი მსჯელობისა და კამათის აღძვრა. ამ საკითხს ჩვენ სხვა დროს შევეხებით, როდესაც გვექნება საშუალება და განვაგრძობთ ჩვენ მიერ უკვე დაწყებულ წერილების ბეჭდვას. *)

*) მასალები სწავლა-განათლების საკითხის შესახებ საქართველოში.

ახლა კი საჭიროა აღინიშნოს ამ მეტად რთულ და დიდი საკითხის ერთი საყურადღებო მხარე მაინც, რომ ყველასათვის უფრო ნათელყოფილიყოს დღევანდელ წერილში წამოყენებულ საჭიროების აუცილებლობა.

მაგრამ—ამის შესახებ შემდგომ.

გიორგი მამრაძე.

## ჭიათურის საკითხი

ბათომისა და თბილისის მოქალაქეთა და ინტელიგენციის კრებების დადგენილების შესახებ ჭიათურის წარმოებათა ლიკვიდაციისა ქუთაისი და ფოთიც შეუერთდა. ამ კრებებმა ჭიათურის საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზედ დააყენეს. მათ ამ საკითხს ერთადერთი საიმედო და გონიერი გზა მოუპოვეს. სამმა უდიდესმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა იკისროს სალიკვიდაციო მამულების აღება: ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ რომელიც მეორე მეპატრონეთა ამ წარმოებების გერმანელ მრეწველთა შემდეგ და ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობათა საკრებულოებმა, რომელთაც უდიდესი ინტერესი აქვთ, რომ ეს მამულები ადგილობრივ დაწესებულებებს შერჩეს და არა გარეშე, შემთხვევით მოვლინებული პირი, სპეკულიანტებს. ამას მთითხოვს ადგილობრივი მცხოვრებთა უაღრესი ინტერესები, რომელმაც არ შეიძლება მთავრობამ ანგარიში არ გაუწიოს.

მაგრამ ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოებრივი ინტერესები, ინტერესები რუსული მეტალურგიულ მრეწველობისა და ის მიზანი, რომელიც აქვს დასახული მთავრობას გერმანელთა წარმოების ლიკვიდაციის მოხდენით.

მთავრობას განზრახული აქვს გაანთავისუფლოს რუსეთი გერმანელთა ეკონომიური ბატონობისაგან. თუ ეს წარმოებები კერძო პირებმა ან სააქციონერო ამხანაგობებმა შეიძინეს, ძველ მეპატრონეთ, გერმანელ მრეწველებს სულ ადვილად შეუძლიანთ მათი უკანვე დაბრუნება. შეუძლებელია მთავრობამ ამ მომენტს არ გაუწიოს ანგარიში და ამ მამულების შეძენაში უპირატესობა არ მიანიჭოს იმ დაწესებულებებთ, რომელთაგან გერმანელები ვეროდეს ვერ მოახერხებენ ამ ქონების დაბრუნებას.

ამგვარად ამ საკითხში სავსებით შეთანხმებულია ადგილობრივ მცხოვრებთა, რუსეთის მრეწველობისა და თვით სახელმწიფოს ინტერესები. იჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ თუ ამ სამმა დაწესებულებამ შესაფერი საქმიანობა გამოიჩინა, ამ წარმოებას უცხოელ სპეკულიანტებთა კლანჭებისგან დაიხსნიან და ჩვენს ხალხს შეუნარჩუნებენ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჭიათურის საბჭო და თავად-აზნაურობა ღირსეულად შეასრულებს ამ უდიდეს ეროვნულ დავალებას.

ი. ვაშაძე.

## დეპეშები

ქუთაისი, 4 მკათათვე. 1916 წ. 4 მკათათვეს ქუთაისში ქუთაისის ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის რაჟდენ ყარამანის ძის დათეშიძის თაოსნობით და თავმჯდომარეობით ადგილობრივმა ვაჭრებმა და ინტელიგენციამ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა გერმანელ ქვეშევრდომთა მამულების ლიკვიდაციის შესახებ იქონია მსჯელობა და დაადგინა: 1) ეთხოვოს შორაპნის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ზემო აღნიშნული მამულები და მრეწველობა თვით შეიძინოს. 2) ეთხოვოს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს შუამდგომლობა აღძრან, რათა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ამ მამულების შეძენაში უპირატესობა მიენიჭოს. 3) დაევალოს თათბირზე არჩეულ დეპუტაციას სხვა ქალაქთა მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან ერთად იშუამდგომლოს შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლების წინაშე რათა მათ ამ დადგენილებას მხარი დაუჭირონ.

თათბირის თავმჯ. დათეშიძე.

---

ფოთი. 4 მკათათვე. გუშინ ფოთის საბირჟო კომიტეტის თაოსნობით ადგილობრივ ვაჭართა და ინტელიგენტთა მონაწილეობით მოხდა თათბირი. თათბირის საგანს გერმანელ ქვეშევრდომთა ჭიათურის სამრეწველოების ლიკვიდაცია შეადგენდა. ერთხმად დადგენილ იქმნა: მიჰმართონ თხოვნით შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, როგორც ამის შესაფერი უფლებებით და შეძლებით აღჭურვილ ორგანოს, ამ მამულების მყიდველად გამოვიდეს. ამასთანავე დადგენილ იქმნა ეთხოვოს ორივე გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლებს მხარი მისცენ ამ დადგენილებას და იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე რათა ეს მამულები შავი ქვის მრეწველთა საბჭომ თავის საკუთრებად შეიძინოს. მთავრობის მიერ დადგენილ საფასურით. არჩეულ იქმნა დეპუტაცია, რომელშიაც შედიან: ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი ტყემალაძე, საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე ჯაფარიძე შავი ქვის მრეწველი ქავთარაძე. ამ დეპუტაციას, საქართველოს სხვა ქალაქთა წარმომადგენლებთან ერთად, დაევალოს ეს ერთსულოვანი გარდაწყვეტილება მთელი ქართველი საზოგადოებისა შავი ქვის საბჭოს წარმომადგენლებს აცნობოს.

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ ჯაფარიძე

## რუსთაველი

პატივცემული ბ. პეტრე მირიანაშვილი თავისას არ იშლის, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსთაველის უმთავრესი გმირები მაჰმადიანებია. მიუხედავად უსაშველო წინააღმდეგობისა მის მსჯელობაში, მაინც ამბობს „ჩემი სჯობსო“, მაინც უცილობლობს...

ბ. პეტრე ჩემზე ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც მოახდენს ხოლმე ულრან ტყეში შესული და გზაბნეული ადამიანი. იგი ვერ ჰხედავს თვითონ ტყეს, მის შვენებას და სიდიადეს. თუ ამ ყოფაში გზა-დაბნეული ადამიანი განათლებული კაცია, იგი ბევრს რასმე აღმოაჩენს საინტერესოს, გონების და გულის შემაქცევარ მოვლენას: ყოველი ბალახი საამურია, ყოველ ფოთოლს აქვს თავისებური ლამაზი აგებულობა, ყოველ რკოს ჩუქურთმიანი მხატვრობა და სხვ. ბ-ნი პეტრე მირიანაშვილიც შესულა იმ საუცხოვო ფერადობაში, რომელსაც ჰქვიან „ვეფხის-ტყაოსანი“, იგი გაკვირვებულია სხვა და სხვა ყვავილების სილამაზით, სხვა და სხვა ფოთლების მხატვრულობით, სხვა და სხვა რკოსი საოცარი ჩუქურთმით, მაგრამ სამწუხაროდ ვერა ჰხედავს თვითონ ტყეს, თვითონ თხზულებას, მის იდეიურ შვენებას და სიდიადეს.

ამიტომ ვთხოვ ჩემს პატივცემულ მოკამათეს მომცეს მეგობრულად ხელი და მე გამომყვეს. მე ვეცდები ავიყვანო იგი ერთ ან ორ ისეთ იდეიურ მწვერვალზე, საიდანაც იგი ადვილად დაინახავს მთელს „ტყეს“ და თავის შეცდომებსაც. მართალია, იგი ამ მწვერვალიდან ვერ დაინახავს ცალკე ბალახის ფერსა და რკოს ჩუქურთმებს, მაგრამ სამაგიეროდ თვალწინ გადაეშლება მთელი თხზულების შვენება და სიდიადე. მართალია ისიც, რომ თვითონ ბ. მირიანაშვილს უჩემოდაც შეუძლია ავიდეს ამ მწვერვალზე, მაგრამ... ერთად სიარული—მეგობრობის ნიშანია. ამიტომ ამ ჩემს თხოვნას, იმედი მაქვს, კანდიერებად არ ჩამომართმევს.

### I

### თავისუფლება.

ერთი ამ მწვერვალთაგანია—იდეა თავისუფლებისა. სოციალურად თავისუფლება შეუძლებელია, თუ არ არსებობს თანასწორობა: თანასწორობა არის მისი აუცილებელი პირობაც.

იდეა თანასწორობისა (მსოფლიო ძმობისა) პირველად გამოაცხადა ქრისტეს ღვთაებრივმა მოძღვრებამ. მართალია, ეს იყო თანასწორობა ღვთისა წინაშე, მაგრამ რაც გინდა იყოს, იდეა თანასწორობისა მაინც აღმოხდა, როგორც მზე და გაშალა ელვარე შუქი ქვეყნიერობაზე. ის ანათებდა და ეხლაც ანათებს იმ გზას, რომელსაც ადგია შეგნებული კაცობრიობა და რომელიც იკარგება მომავალ საუკუნეთა ბურუსში. აგერ ოცი საუკუნეა, რაც კაცობრიობა იბრძვის ამ დიადი იდეის განსახორციელებლად და ღმერთმა იცის, როდის დამთავრდება ეს ბრძოლა. არის ბრძოლა წოდებრივი, არის ბრძოლა კლასობრივი, არის ბრძოლა ეროვნული—ყველა ამ ბრძოლათა დედა-აზრი გახლავთ უფლებრივი თანასწორობა დიდისა და პატარასი, სუსტისა და ღონიერისა. ადამიანი უნდა იყოს ადამიანი, სუსტია იგი თუ ძლიერი, დედაკაცია იგი თუ მამაკაცი; ერი უნდა იყოს ერი, აღჭურვილი ერთნაირი უფლებებით, მიუხედავად მისი ღონის, ძლევის, რაოდენობის... უამისოდ შეუძლებელია დამყარდეს თავისუფლება.

ეს დიადი შუქი მოხვდა რუსთაველს და შუქსა შუქი წამოანთო. იდეა დედაკაცის და მამაკაცის თანასწორობისა მან ჩამოასხა თავის თხზულებაში დიდებულად, გენიოსურად. მარტო ის კი არ უთქვამს—„ანთავისუფლე მონებიო“, მარტო ის კი არ უთქვამს;

„ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, თუნდა ხვადია“!

არა, მან მისცა ამ იდეას გასაკვირველად, შექმნილი ხელოვნური განსახიერება: თინათინი!—ლაპარაკი ყველას შეუძლია, ყველა ჩვენგანი იტყვის ხშირად ლამაზად აგებულ სიტყვებს, თავისუფლებაზე თუ თანასწორობაზე, მაგრამ აბა სცადეთ მისცეთ იდეას ხელოვნური განსახიერება და მაშინ მიხვდებით რამდენად ეს ძნელია, რამდენად მიუწვდენელი. ამისათვის საჭირო იყო რუსთაველის გენიოსობა.

თუმცა **ქალია ხელმწიფედ**,
მართ ღვთისა დანაბადია!

აი ეს აზრი იყო გამოთქმული და დიდებულად განსახიერებული მეXII საუკუნეში. თინათინი ავიდა ტახტზე გახდა მეფე, მიენიჭა სრული უფლება გამგეობისა და კანონმდებლობისა.

აი, ჩემო ბატონო, პეტრე, რატომ მოვიხსენიე მე ჰარამხანა. მოვიხსენიე მე იგი იმიტომ კი არა, რომ ვითომდა მე იმას ვთვლიდე გარყვნილების ბუდედ.., აბა ასეთი გადასხვაფერება მოკამათის აზრისა როგორ გეკადრებათ თქვენ?!—ჩემის აზრით ის გახლავთ, რომ შეუძლებელია რეალურად, წარმოუდგენელია ლოღიკურად, რომ თინათინი—მეფე მოხვდეს ჰარამხანას: თუ ჰარამხანაში იქნება, ის მეფე არ იქნება, თუ მეფეა—მისთვის ჰარამხანა არ არსებობს. თქვენ არ ვიცი როგორ უყურებთ ამ წინააღმდეგობას, ხოლო მე, რაც გინდ მაგარი შუბლი მქონდეს, მაინც დამერწმუნეთ, არ დავეხეთქები ამისთანა კედელს.

როგორც მოგახსენეთ, ეს იდეა აღმოცენებულია საქრისტიანო კულტურის ნიადაგზე. ეხლა ჩემმა მოკამათემ უნდა დაამტკიცოს, რომ ამისთანა იდეის აღმოცენება შესაძლებელი იყო აგრედვე ისლამის კულტურის ნიადაგზე. დამიმტკიცეთ ან მუსულმანურ საღმრთო წერილიდან, ან ისტორიიდან, რომ დედა-კაცს სამუსულმანოში აქვს ან ჰქონია ასეთი უფლება. ყურანი დიდი წიგნია, მე ის გადამითვალიერებია, მარა დაკვირვებით არ წამიკითხავს. ბ. მირიანაშვილი კი მთარგმნელია ამ ცნობილი წიგნისა, ამიტომ იმისთვის უფრო ადვილია მიმითითოს ყურანის ასეთი ადგილზე, ლექსზე ან მუხლზე. რაც შეეხება ისტორიას, ცოტა რამე ვიცი, მარა არასოდეს არა მსმენია, არ წამიკითხავს და არ გამიგონია, რომ დედა-კაცი ყოფილიყოს მეფედ სადმე სამუსულმანო ქვეყანაში. აი სპარსეთი, ოსმალეთი, არაბეთი, ეგვიპტე, ტუნისი, მაროკო, ინდოეთის სხვა და სხვა ქვეყნები—არ შეიძლება მიმითითოთ, სად ყოფილა დედა-კაცი სახელმწიფოს გამგედ და კანონმდებლად.

აი, ამიტომ მე ვიმეორებ: ყოვლად უსაფუძვლოა და ყოვლად შეუწყნარებელი ის აზრი, რომ როსტევან, თინათინი, ავთანდილი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ვითომდა მუსულმანები არიან, უსაფუძვლო და შეუწყნარებელია აგრეთვე გამოთიშვა რუსთაველის დიდებულ თხზულებისა საქართველოს და საზოგადოდ საქრისტიანო კულტურის ნიადაგიდან.

### II

### ადამიანი და არა ერი.

ეხლა, ჩემო ძვირფასო პეტრე, წამობრძანდით მეორე მწვერვალზე: აქედან უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თვითონ ბუმბერაზი რუსთაველი, რომელიც—

ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა.

რუსთაველი მართლა ბუმბერაზია იმისი ფეხი მიწაზე ჰსდგას, მარა თავი კამარას ებჯინება. იგი გენიოსურ აღფრთოვანებაში ამ სიშორიდან დაჰყურებს ქვეყნიერებას და ამ სიშორიდან იშლება (არა სჩანს) ხოლმე ყოველი მთა და ბარი და ყოველი საზღვარი სახელმწიფოთა: ინდოეთი და არაბეთი მისთვის მხოლოდ განყენებული შემეცნებაა და არა რეალური ქვეყნები, ისე როგორც ქაჯეთი, ხატაეთი ან მულღაზანზარის ქალაქი.

ბ. პეტრე მირიანიშვილი სწერს: „გარეგნობა „ვეფხის ტყაოსნისა“ რაკი უცხოა, მისი გმირებიც გარეგნად (!) ჩვენთვის უცხონი უნდა იყვნენ. ავთანდილი და ტარიელი უნდა ჩაეყენებინა ავტორს ისეთ გარემოებაში, რომ ისინი ქართველებად და ქრისტიანებად კი არ უნდა მიგვეღო, არამედ უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის პირველი ნამდვილი არაბი, ხოლო მეორე —ნამდვილი ინდო, სარწმუნოებითაც ორნივე მუსულმანნი. მაშინ რაღას ივარგებდა ავტორის გეგმა (!?), რომელიც, როგორც ზემოთა ვსთქვი, ზოგჯერ უმისოდაც ვერ დაუცავს (!!)“

ეს არის ერთი უმთავრესი მოსაზრებათაგანი ბ. პ. მირიანიშვილისა. სამწუხაროდ მე კარგად არ მესმის მისი აზრი. „ვეფხის ტყაოსნის გარეგნობა უცხოაო“,—რათა? რა არის უცხო? უცხო „ვეფხის ტყაოსანში“ არაფერია გარდა ქვეყნის სახელებისა და მგონი, რომ სწორედ ამ გარემოებას შეჰყავს შეცდომაში ბ. მირიანიშვილი. იმას ჰგონია, რომ რუსთაველის ინდოეთი უდრის გეოგრაფიულ ინდოეთს და არაბეთი გეოგრაფიულ არაბეთს.

თუ ამაში მდგომარეობს თქვენი მეთოდი, თქვენი „საისტორიო ანალოგიის ჰიპოტეზა“—ძალიან საცოდავი მეთოდი ყოფილა. აბა, გენაცვალე, მაჩვენეთ ერთი, სად არის ხატაეთი? სად არის მულღაზანზარის ქალაქი? სად არის ქაჯეთი, ან ზღვათა სამეფო? რუსთაველისთვის სულ ეს სახელწოდებანი, როგორც ინდოეთი და არაბეთი—მხოლოდ განყენებული შემეცნებაა და არა რეალობა. ამის შესახებ თქვენ შეგიძლიათ კიდეც ექსპერიმენტი მოახდინოთ: გამოსცვალეთ ეს სახელები და მათ მაგივრად ჩაურთეთ სხვა რამ ქვეყნის სახელები, და აშკარად დაინახავთ, რომ ამით პოემაში არაფერი გამოიცვლება, არც აზრი და არც პოეზია.

„პირველი უნდა იყოს ნამდვილი არაბი, მეორე—ნამდვილი ინდო, სარწმუნოებითაც მუსულმანი“... რას ჰნიშნავს ნამდვილი ინდო?! ინდოეთი არასოდეს არ წარმოადგენდა რაიმე ერთეულს, არც ეროვნულად, არც პოლიტიკურად და არც სარწმუნოებრივად. ინდოეთში ასზე მეტი ენაა და ასზე მეტი ეროვნება. სარწმუნოებაც ბევრია—ბუდდიზმი, ბრამანიზმი, ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, ცეცხლ-თაყვანისმცემლობა და სხვა. მაშასადამე სიტყვა „ნამდვილი ინდო“ ყოველ აზრს მოკლებულია. ბ. მირიანიშვილის აზრით ნამდვილი ინდო უსათუოდ ჰნიშნავს მაჰმადიანს! რათა?—ალბილურ!

გიორგი გვაზავა.

(შემდეგი იქნება)

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

კალედინის არმია აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზის ცენტრში, სახელდობრ ვოლინის მიმართულებით შეტევას განაგრძობს. დაბა სვინიუხის მიდამოებში მან სასტიკ იერიშების შემდეგ ადგილიდან დასძრა მოპირდაპირე და ახლა ფეხდა ფეხ მისდევს. ოფიციალ დეპეშებში ნახსენებია, რომ რუსეთის ჯარმა რამდენიმე მძიმე არტილერია იგდო ხელში. თავის თავად ამტკიცებს იმას თუ როგორი მარცხი მოსვლია ავსტრო-გერმანელების ჯარს. საზოგადოთ მძიმე არტილერია ქვეითა ჯარის და სანგარის უკანა სდგას ხოლმე. ცხადია მტერი მეტად საგრძნობლად უნდა დამარცხებულიყო, რომ ასე მოშორებით მდგომარე არტილერიის გატანა ვერ მოასწრეს.

ქ. ვოლინის აღებას დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ვოლინი შემაერთებელი პუნქტია გალიციის და პოლონეთის რკინის გზებისა, მაშინ ნათელი იქნება მიზანი ახლანდელ კოლედინის არმიის შეტევისა. მას ჰსურს ამ ქალაქის აღებით ორად გააპოს ავსტრიელების ჯარი, რომელიც გალიციაში მოქმედობს, გერმანეთის ჯარს, ამავე დროს მას საშუალება ექნება ზურგით მოექცეს როგორც კოველის რაიონში მოქმედ მტრის ჯარს, ისევე ლვოვისას.

სამხედრო გეგმა მეტად მარტივია. საგულისხმო სულ რომ არა იყოს რა, გერმანელებისთვის ასეთი განზრახვა მეტად საშიშოა და აი ამიტომ იგინი უეჭველია იძულებული იქნებიან თავიანთი გეგმა შესცვალონ და რუსეთის ბრძოლის ასპარეზს მთავარი ანგარიში გაუწიონ.

სხვა ადგილებში რა ხდება ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს, გარდა კარ ლიბაბის მიმართულებით, სადაც რუსის ჯარს რამდენიმე სიმაგრეები აუღიათ.

დასავლეთით მთავარ ყურადღებას დღევანდლამდე ისევ ვერდენის ოპერაცია იქცევს. ეტყობა გერმანელებს გადაუწყვეტიათ რათაც უნდა დაუჯდეთ, არაფერი დაზოგონ და ეს მეტად დიდ მნიშვნელოვანი სიმაგრე ხელში ჩაიგდონ. ყოველ ნაბიჯს იგი აუარებელ ყუმბარებით ავსებენ და შემდეგ მეტის მეტი თავგანწირული იერიშებით იგდებენ ხოლმე ხელში. არც ფრანგების და ინგლისელების შეტევამ და არც რუსების გამარჯვებამ მათზედ შთაბეჭდილება არ იქონია და აქნობამდე საუკეთესო თავის ჯარს აწყვეტებდა ამ ბურჯს—სიმაგრეს. გერმანელებმა კარგათ იციან თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ვერდენის აღება, თუ კი მოახერხებენ მის ხელში ჩაგდებას და სწორედ ამ მოსაზრებით მთელ თავის აწინდელ მდგომარეობას ასე გატაცებულნი „რისკის“ ქვეშ აყენებენ.

კავკასიის ბრძოლის ასპარეზე რუსის ჯარი წინსვლას განაგრძობს.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი**, 4 მკათათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. ვოლინის მიდამოებში სვინიუხის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გენ. სახაროვის ჯარი მტერს უმკლავდება. სოფ. პუსტომიტის მახლობლად ჩვენ 1000 გერმანელი და ავსტრიელი ჯარის კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ, ამასთანავე ხელთ ვიგდეთ 3 სუბუქი და 2 მძიმე საველე ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველი და სხვა დავლა. ამ ბრძოლაში მამაცი გენერალი ვლადიმერ დრაგომიროვი შრაპნელის ნატეხით ფეხში დაიჭრა. ლიპის მიდამოებში ჩვენ კვლავ წინ ვიწევთ. აქ მტერი დიდს წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენმა ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 226 აფიცერი და 5,872 ჯარის კაცი, ხელთ იგდო 24 ზარბაზანი, 14 ტყვიის მფრქვეველი, რამდენიმე ათასი თოფი და სხვა სამხედრო იარაღი. ამას გარდა ამავ ბრძოლაში ტყვედ წამოვიყვანეთ კიდევ 51 აფიცერი და 2,165 ჯარის კაცი. საერთო რიცხვი ტყვეებისა შემდეგია: 917 აფიცერი და 12,637 ჯარის კაცი. კირლიბაბას მხრით (ტრანსილვანიის საზღვარზე) ჩვენმა ჯარმა ახილი სიმაღლეები აიღო. რიგის მიდამოებში შეტაკება ფართოვდება. ჩვენი ჯარი აქ კარგად მოქმედობს: მტრის რამდენიმე თხრილი ავიღეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** კავკასიის ჯარის მარჯვენა ფრთის რაზმები წინ იწევენ. 3 მკათათვეს ჩვენმა ყუბანელმა ყაზახებმა გენერალ გორნოსტაევის უმფროსობით ოსმალების მოწინავე რაზმები გაჰფანტეს. ოსმალებმა ქ. ბაიბურთის დატოვების დროს ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს.

**პეტროგრადი**, 4 მკათათვე. ოფიციალი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მთავარ სარდლის ბანაკიდან დაბრუნდა. იაპონელთა დელეგაცია გენ. ფუკუზას მეთაურობით პეტროგრადში ჩამოვიდა.

**პეტროგრადი**, 4 მკათათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. დღეს ქ. რიგას გერმანელების ცეპელინი ეწვია. ქალაქს 13 ყუმბარა ესროლა. ვოლინის მიდამოებში ლიპის მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარი მტერს უკან ახევინებს. ჩრდილოეთ-დასავლეთით კიმპოლუნგას მახლობლად ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა კირლიბაბა-მარმაროშსიგეტის გზატკეცილი ხელთ ჩაიგდო.

**შენიშვნა.** ჩვენმა მფრინავმა პუშკელმა პოდპორუჩიკის კოვენკოს ხელმძღვანელობით გერმანელების საფრენი მანქანა „ფოკერი“ დააზიანა. „ფოკერი“ მტრის ბანაკთან ჩამოეშვა.

—

**პარიზი**, 3 მკათათვე. ოფიციალი. შამპანის ასპარეზზე რუსების და ფრანგების მოწინავე რაზმები ენერგიულად მოქმედებენ. მაასის მარცხენა ნაპირზე შატანკურის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. „304“ სიმაღლის აღმოსავლეთით ჩვენ მტრის ზოგი თხრილები ავიღეთ. მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარი ფლერის დასავლეთით წინ იწევს. აქ ტყვეები წამოვიყვანეთ. დანარჩენ ადგილებში შედარებით სიმშვიდეა.

**მფრინავთა მოქმედება.** სომის მიდამოებში ჩვენმა მფრინავებმა მტრის ორი მფრინავი ჩამოაგდეს.

**პარიზი**, 4 მკათათვე. ოფიციალი. შამპანში, გერმანელები ჩვენს თხრილებს იერიშით ეკვეთნენ. აქ რუსის ჯარმა კონტრ-იერიშით მტერი უკუ აგდო და დიდი ზარალი მიაყენა. ვერდენის ასპარეზზე ღამემ მშვიდად ჩაიარა. მხოლოდ „304“ სიმაღლეს მტერი თოფს უშენდა. ფლერის დასავლეთით ფრანგებმა ცოტა წინ წაიწია და 3 ტყვიის მფრქვეველი ხელთ იგდეს. ლოტარინგიაში ნომენის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელები იერიშით ეკვეთნენ ჩვენ სიმაგრეებს, მაგრამ მოვიგერიეთ.

**ლონდონი**, 3 მკათათვე, ოფიციალი. გენერალი ხეგი იტყობინება: ჩვენმა ჯარმა ბაზენტენ-ლე-პეტის ტყე ხელთ იგდო. აქ ჩვენ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ, სხვათა შორის ბავარიის ერთ-ერთ პოლკის უფროსი მთელი თავისი შტაბით. ჩვენმა ჯარმა პოზიერისაკენ გზა გაიკაფა. ჩვენი მფრინავების მოქმედებას ცუდი ამინდი უშლის ხელს.. მიუხედავად ამისა მათ მტრის რკინის გზას ყუმბარები ესროლეს, რამაც მატარებლის დაღუპვა გამოიწვია.

ეგვიპტიდან იტყობინებიან, რომ ჩვენმა ჯარმა სუეცის არხის ნაპირებთან მტერი სძლია და მრავალი საქონელი გამოირეკა.

**ლონდონი**, 4 მკათათვე. ოფიციალი. საარტილერიო ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს. ინგლისელები აქ მტრის თხრილებში მრავალ იარაღს პოულობენ. გუშინ ღამით ფუროს ტყეში ერთმა ჩვენმა რაზმმა უკან დაიხია.

**ლონდონი**, 3 მკათათვე. ინგლისის ოთხი გემი „მონსა“, „სილიო“, ეკკლეზია“ და „მანტო“ მტერმა ჩასძირა.

**რომი**, 3 მკათათვე. ოფიციალი. პოზინოს მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. მიუხედავად დიდი ქარიშხალისა, რომელიც არტილერიის მოქმედებას ხელს უშლიდა, ჩვენმა ჯარმა მდ. ბოიტესთან ბრძოლით წინ წაიწია და ვანცი დაიპყრო. მონტე-სეულჯიოსთან ჩვენ მტრის გამწვავებული იერიშები მოვიგერიეთ. ტოფანოს სიმაღლეებზე მტერი იერიშის მოტენას სცდილობდა, მაგრამ შევაჩერეთ. დანარჩენ ადგილებში ღირსშესანიშნავი აღარა მომხდარა რა.

**გავრი**, 3 მკათათვე. ოფიციალი. ბელგეთის ჯარის მთავარ-შტაბისა. ჩვენი ასპარეზის სხვა და სხვა ადგილას ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა· სტკენს-ტრეტეს სიმაგრეები ჩვენმა არტილერიამ სულ მთლად დაანგრია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სტოხოდის ბრძოლა.**

როგორც გუშინდელ ოფიციალ დეპეშებიდან სჩანს გერმანელებმა მდ. სტოხოდთან თავისი მოქმედება გააძლიერეს. აქ ისინი თავს უყრიან დიდძალ ჯარს, რომელიც დასავლეთის ასპარეზიდან გადმოჰყავთ. ამ გამაგრებულ ადგილებში მოქმედება ძალიან ძნელ საქმეს წარმოადგენს, რადგან თითქმის სამი ვერსის სიგრძე-სიგანეზე გაჭიმულია ჭაობები, რომელნიც არტილერიის გადატან-გადმოტანას ხელს უშლიან. როგორც სჩანს გერმანელებს და ავსტრიელებს ჰსურთ უმთავრესი წინააღმდეგობა რუსებს ამ მიდამოებში გაუწიონ.

**ავსტრიელთა თხრილებში.**

ბარანოვიჩთან რუსებმა რამდენიმე სიმაგრე წაართვეს ავსტრიელებს. აქ რუსის ჯარისკაცებმა მრავალი სანოვაგე, ღვინო, თუთუნი და ტკბილეულობა იპოვეს. როგორც ტყვე ავსტრიელები ამბობენ, ეს სანოვაგე მათ ჯერ ისევ 19 თიბათვეს დაურიგეს, მაგრამ მიუხედავად საჭმელ-სასმელის სიუხვისა ავსტრიელი ჯარისკაცები მეტის მეტად დასუსტებულნი და დამხდრები არიან, რაიცა აიხსნება ამ ბოლო დროის გამუდმებულ ბრძოლებით.

**კოლომიის დასავლეთით**

კოლომიის დასავლეთით ავსტრიელები რუსის ჯარს დიდს წინააღმდეგობას უწევენ. არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ რუსების მოქმედება შეაჩერონ: სწამლავენ ჰაერს, ყუსბარების შემწეობით რუსების თხრილების ირგვლივ სულის შემხუთავ სითხეს ასხავენ და სხვ. ჯარს ნაბრძანები აქვს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ და არამც და არამც ერთი ადლითაც უკან არ დაიხიონ. აფიცრებს ნაბრძანები აქვთ დახვრიტონ ის სალდათები, რომელნიც კი თავის გადარჩენას ეცდებიან.

**ავსტრიელ ჯართა რაოდენობა**

ფრანგულ გაზეთების სიტყვით, ავსტრიელებს, დღიდან ომის დაწყებისა, დაუკარგავთ მოკლულ-დაჭრილებით და ტყვედ წაყვანილებით—4 მილიონი კაცი. ამგვარად გაბსბურგების სახელმწიფოს ამ ჟამად იარაღ ქვეშ მყოფი, ბრძოლაში გამოსადეგი ჯარი 2,700,000 არ უნდა აღემატებოდეს.

**მთავარ-სარდალის ერცჰერცოგის ფრიდრიხის გადაყენება.**

ლონდონში ცნობა მოსულა რომ სამხედრო თათბირის დადგენილებით, სადაც თავმჯდომარეობდა იმპერატორი ვილჰელმი, რუსეთის ასპარეზზე მომქმედ ჯარის მთავარ-სარდალი ერცჰერცოგი ფრიდრიხი თანამდებობიდან გადაუყენებიათ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მან რუსეთის ასპარეზზე ბევრი ისეთი შეცდომა ჩაიდინა, რომელშიც გერმანელთა მოქმედების გეგმა მთლად შეაცდევინა.

**მოკავშირეთა წარმომადგენლების თათბირი ლონდონში.**

ლონდონში 1 თიბათვეს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანადასწრებით თათბირი გაიმართა. თათბირზე გადასწყდა დაკმაყოფილებულ იქმნას მოთხოვნილება რუსეთისა, რომელიც ინგლისს საომარ მასალას სთხოვს. ამგვარივე მოთხოვნილებით იტალიელთა წარმომადგენელმაც მიჰმართა თათბირს, მაგრამ ეს საკითხი თათბირმა სხვა დროისათვის გადასდო.

**რუსეთ-იაპონიის შეთანხმება**

გერმანული გაზეთები რუსეთ-იაპონიის შეთანხმებას დიდ-მნიშვნელოვან ფაქტად სთვლიან და დასძენენ, რომ ეს შეთანხმება ძილს გაუფრთხობს ინგლისის პოლიტიკოსებს, რომელთაც რუსეთისა და იაპონიის დაახლოვება მუდამ აშინებდათ. შესაძლებელია ამ ხელშეკრულობამ აფიქრებინოს ინგლისს, რომ იგი ამ ორ სახელმწიფოთა ხელშეკრულობის დადების დროს ინდოეთის მომავალი ბედი ჰქონდათ სახეშიო, თუ ჩვენი ეჭვები გამართლდაო, ამბობს გერმანული პრესსა,— მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლის-რუსეთის მეგობრობა დღეგრძელი ვერ იქნებაო.

**ავსტრიის მთავარსარდლის ბრძანება.**

ავსტრიის მთავარსარდალმა ერცჰერცოგმა ფრიდრიხმა ბრძანება გასცა, რათა იმ სერბიელთ, რომელთად ფრანც ფერდინანდის მოკვლაში ბრალი ედებათ, ჩამოერთვათ მამულები და საჯაროდ გაიყიდონ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ფერდინანდის მოკვლაში სხვა და სხვა სახით ბრალს სდებენ მრავალ სერბიელს უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბრძანება ბევრ სერბიელს უმიწაწყლოდ დასტოვებს.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

**რუსეთის ასპარეზზე** სვინიუხთან. გენ. სახაროვის ჯარი მტერს დიდს წინააღმდეგობას უწევს. ვოლინში დიდი ბრძოლაა. გენერალი ვლადიმერ დრაგომიროვი ყუმბარის ნატეხით ფეხში დაიჭრა. აქ რუსებმა 3 მკათათვიდან 12,637 ჯარისკაცი და 917 აფიცერი ტყვედ წამოიყვანეს. ამას გარდა ხელთ იგდეს 30 ზარბაზანი.

—

**კავკასიის ასპარეზზე** ოსმალებს ქ. ბაიბურთის დატოვებისას ქალაქისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ.

—

**საფრანგეთის ასპარეზზე** ვერდენთან ღამემ მშვიდად ჩაიარა. მხოლოდ მე-„304“ სიმაღლეს მტერი ქარიშხალისებური სიძლიერით ზარბაზნებს უშენს. შამპანის ასპარეზზე რუსის ჯარი ბრძოლაში ჩაება და გერმანელების კონტრ-იერიში მოიგერია.

—

**იტალიის ასპარეზზე** პოზინოს ხაზზე ძლიერი ბრძოლაა. ზოგ ადგილებში ქარიშხალი და წვიმა ჯარის მოქმედებას ხელს უშლის.

—

ქ. რიგას გერმანელების ცეპელინებმა 13 ყუმბარა ესროლეს.

—

**ბრძოლა ზღვაზე.** მტერმა ინგლისის ოთხი გემი ჩასძირა.

## ახალი ამბავი

✦ **მუშა ხელის საჭიროება რკინის გზის სადგურზე.** ვაგონების დაცლას ვერ ასწრებენ რკინის გზის სადგურის მუშები და სხვათა შორის ეს გარემოებაც ხელს უშლის საკვების დროზე შემოტანას ქალაქში. დაბრკოლება მით უფრო რთულდება, რომ სადგურის ადმინისტრაცია გარეშე მუშებს არ უშვებს სადგურში სამუშაოდ. ამიტომ ქალაქის თვითმართველობა შუამდგომლობს რკინის გზის გამგეობის წინაშე, რომ თავისი ვაგონების დასაცლელად თავისი მუშების მიყვანის ნება დართოს მას.

✦ **ქალაქის გამგეობამ** წინადადება მისცა მეფურნეებს და მეთორნეებს, რომ გამგეობისაგან ნასყიდი ფქვილი დაუყოვნებლივ წამოიღონ რკინის გზის სადგურიდან, რადგან სადგურზე დიდძალი საქონელი იყრის თავს და ადგილი აღარ არის. რათა მეფურნეებმა და მეთორნეებმა ფქვილი სხვებს არ მიჰყიდონ, ამის მეთვალყურედ ქალაქის გამგეობამ საგანგებო აგენტი გაამწესა სადგურზე.

✦ **წყლის სიძვირე თბილისში.** თბილისის ბევრს უბანში ისევ გაძვირდა წყალი. მთაწმიდაში, მაგალითად, სრულებით არ მოიპოვება წყალი და მცხოვრებნი დიდს გასაჭირში არიან.

✦ **საფსიხიატრო სამკურნალო.** როგორც ჩვენ გაზეთში გვქონდა მოხსენებული სურამელთა საგანგებო დეპუტაციამ კავკ. უმაღლეს მთავრობის წინაშე, თხოვნა აღძრა რომ კავკასიაში განზრახული საფსიხიატრო საავადმყოფო სურამში იქმნეს აგებული, სამხედრო სასწავლებელის საზაფხულო ბინაში და თავის მხრივ სურამელები 5 დესეტინა მიწას უთმობენ. დეპუტაციას შეჰპირდნენ ამ საკითხს სურამის სასარგებლოდ გადაწყვეტთო. ეხლა ამ ადგილების დასათვალიერებლად მთელი კომისია გაემგზავრა სურამს კავკ. სამკურნალო ნაწილის უფროსის ბ-ნ ფეხნერის მეთაურობით.

✦ **თბ. პოლიცმეისტერის** მეთაურობით არსდება „პოლიციელთა საეკონომიო სავაჭრო სახლი“ წესდება უკვე დამტკიცებულია მეფის ნაცვლის მიერ სავაჭრო მოთავსებულ იქნება მიხეილის პრ. და ბელგიის ქ. კუთხეში ფეფელოვის სახლში. სავაჭრო განსაკუთრებით პოლიციელთათვის არსდება.

✦ **თავის კვლა.** სამხედრო ბანკის ყოფილი მსახური თბ. მოქალაქე კ. მ. რაევმა ჯერ საწამლავი დალია და მერე რევოლვერი დაირტყა. რაევი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. სახლში ბარათი დეეტოვებინა სადაც სწერს: „არავის ნება არა აქვს იკითხოს მიზეზი ჩემი თავის კვლისაო“.

✦ **ნიხრი მწვანილეულობაზე და ელექტრონზე.** თბ. პოლიცმეისტერმა შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე, რათა დაწესებულ იქნას ნიხრი ბოსტნეულობაზე: კიტრსა, პამიდორსა, კარტოფილსა ხახვზე და სხვ. აგრედვე ყველსა და ელექტრონის ძალაზე.

✦ **საქონლის შენახვის სიძვირე.** ომის გამოცხადების შემდეგ რკინის გზაზე საქონლის შენახვის ფასი ერთობ გაძვირდა და ამ უკანასკნელ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. სიძვირე პროგრესიულად მატულობს, მაგალითად, მოსულ ვაგონზე დღეს თუ 2 მანეთია შენახვის ქირა, ხვალ 4 მანეთს ახდევინებენ, ხვალზევით 6 მანეთს და სხვ. ამ გარემოებამაც დიდი გავლენა იქონია საქონლის გაძვირებაზე. ვაგონების დაცლა ძნელი საქმე გახდა, რადგან რკინის გზის მუშები ვერ უთავდებიან საქმეს და გარეშე მუშებს, თუ კი სადმე იშოვება, არ უშვებენ ვაგზალში. ამის გამო ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს რკინის გზის გამგეობის წინაშე, რომ ასეთ მდგომარეობას რაიმე წამალი დაედოს.

✦ **გერმანელთა მამულები.** „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს რომ ვოლინის გუბერნიაში რაც-კი მამულები ჩამოერთვა აქედან გადასახლებულ გერმანელებს, ყველა მამულები ვოლინის საგლეხო ბანკის განყოფილებამ დაინარჩუნა.

✦ **საკვების საჭიროება.** თბილისის ქალაქის თვითმართველობამ გაუგზავნა, თანახმად მათი თხოვნისა: გორში 2 ვაგონი ფქვილი, სურამში 1 ვაგონი, ბორჯომში 1 ვაგონი და სუმბათოვში 1 ვაგ.

**ზუგდიდი**

სათანადო მთავრობამ დააკმაყოფილა ზუგდიდელების რწმუნებულების ვლად. ალშიბაიას და მღვდ. ტრ. ჯოხთაბერიძის შუამდგომლობა ზუგდიდში კერძო გიმნაზიის გახსნის შესახებ. მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნება მოსამზადებელ I და II კლასი. მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები. თუ ქალები საკმაო იქნა, მათთვის გაიხსნება პარალელური კლასები.

საჭირო საშუალებას გიმნაზიის შესანახად იძლევიან ადგილობრივი მცხოვრებლები. დახმარება აღთქმულია მაზრის ყველა წოდების მცხოვრებლებისაგან. ზუგდიდის კერძო გიმნაზია მალე გადაკეთდება მთავრობის უფლებიან გიმნაზიად.

**თელავი.** 21 თიბათვეს აქაურ ქართველთა საზოგადო სამკითხველოს და ომში დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა, ბაზრითა და სხვა და სხვა გასართობებით.

— 29 თიბათვეს გაიმართა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილების სასარგებლოდ დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით.

— თელავის მეპურეებში წითელი პური აღარ იშოვება და მის ბადლად თეთრ მჭად-პურას აცხობენ, რომელსაც 8 კაპეიკად ჰყიდიან გირვანქას.

## ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მოღვაწეობა

ამ დღეებში კრება ჰქონდა კავშირის საბჭოს და შემდეგი დაადგინა: ა) გაგზავნოს ნ. ნოვგოროდის იარმუკაში თავისი წარმომადგენელი, რომელმაც მოსკოვის კავშირის წარმომადგენელთან შეთანხმებით უნდა შეიძინოს საქონელი; 2) შეუდგეს ეხლავე განმანაწილებელ პუნქტების მოწყობის საქმეს გორსა, გურჯაანსა, ბორჯომსა, ზესტაფონსა, სამტრედიასა, ნატანებსა, ყარაკლისში დ- სხ. 3) მოიწვიოს ინსტრუქტორად ბ-ნი გრ. ურატაძე; რადგან საქმე თანდათან იზრდება, მოწვეულ იქმნან ახალი მოსამსახურენი; 5) მიუხედავად იმისა, რომ საქონლის გამოტანაში კავშირი დიდ დაბრკოლებას ჰპოვებს ვაგონების უქონლობის გამო, მაგალითად, კავშირი სიმინდის შეძენის შესახებ მოურიგდა თერგის წვრ. საკრედიტო დაწესებულებათა კავშირს, მაგრამ ვაგონი ვერ იშოვა საქონლის გადმოსაზიდად, საბჭომ დაადგინა პურის ფქვილი შეიძინოს და ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება გამართოს ჩრდილო-კავკასიის სხვა და სხვა საკოოპერაციო კავშირებთან, რათა პირველ შეძლებისთანავე ფქვილი გადმოზიდოს ამხანაგთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

საბჭომ დაამტკიცა [illegible] ნილება შესახებ 19 ახალი კოოპერატივის წევრებად მიღებისა კავშირში, ხოლო ერთი კოოპერატივი არ მიიღო.

საბჭომ რევიზია გაუკეთა საქმის წარმოებას, დაათვალიერა საწყობი და სხ. საბჭოს აზრით, კავშირის საქმე იზრდება, მაგრამ ერთობ საძნელოა საქონლის შეძენა-მოტანა.

იმ ახალ კავშირთა შესახებ, რომელთა დაარსება განზრახულია ზოგიერთ კუთხეში, მაგალითად, დასავლეთ-საქართველოში, საბჭო იმ აზრს დაადგა, რომ კავშირი წინააღმდეგი არ იქნება ასეთი კავშირებისა, მაგრამ საქმისთვის სასარგებლოდ სცნო, ასეთი კავშირები დაარსდეს განმანაწილებელ პუნქტებთან და ამიერ-კავკასიის კავშირთან შეთანხმებით.

## ქალაქის საბჭო

4 მკათათვე.

კრება დაიწყო ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 9 საათზე.

**შეკითხვები.**

**ხმ. ბაბოვი.** დღეს ჩვეულებრივზე 1 საათით გვიან დაიძრა ვაგონები სამუშაოდ. რა არის ამის მიზეზი?

გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული.** 1 საათით კი არა, მაგრამ 40 წუთით კი გვიან გამოვიდა ვაგონები. ამის მიზეზი ის იყო, რომ გუშინ ერთ-ერთ ვაგონზე შემხტარა პოლიციის 1 მოხელე და ვატმანისათვის მოუთხოვნია, ვაგონი სრულის სიჩქარით წაეყვანა. ვატმანს კი ეს ბრძანება არ შეუსრულებია, ვინაიდან ვატმანებს ქალაქის გამგეობისაგან და დირექციისაგანაც ნაბრძანები აქვთ, რომ ვაგონები ნელა ატარონ, რათა ჩქარის ტარებით ვაგონები იმდენად არ დაზიანდებიან უდროვოდ, რომ მთელი შეკეთება საჭირო დარჩეს. პოლიციის მოხელეს სასიამოვნოდ არ დარჩენია ვატმანის ურჩობა და პოლიციაში გაუგზავნია იგი. ამ შემთხვევის გამო დღეს დილით თათბირი ჰქონდათ ტრამვაის მოსამსახურეთ და ამის გამო დაუგვიანდათ დროზე გამოსვლა. გაფიცულები როდი ყოფილან მოსამსახურენი; მე როცა შენიშვნა მივეცი მათ, რომ თავიანთი ნებით სამუშაოზე დროზე გამოსვლა არ უნდა დაეგვიანებიათ, იმათ ბოდიში მოიხადეს და მაშინვე შეუდგნენ მუშაობას.

ხმოსნების შეკითხვაზე, თუ ვინ არის ის მოხელე და რა თანამდებობის პატრონია, ბ-ნმა ჟურულმა განაცხადა, რომ გვარი აღნიშნულ მოხელისა ალანია არის, ხოლო რა თანამდებობას ასრულებს იგი, არ ვიცით. შემდეგ კიდევ ორატორმა განაცხადა, რომ ეს შემთხვევა უკვე ვაცნობეთ ვისაც ჯერ არს და საქმის გამოძიება სწარმოებს, ისე რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩებაო.

**ხმ. ქსავერიევი.** ზოგიერთ ფურნეებში ძალზე უფერულს და უმცხვარ პურს ჰყიდიან. იცის თუ არა ეს გარემოება გამგეობამ და თუ იცის, რა ღონისძიებას ხმარობს ამის წინააღმდეგ?

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ქალაქს როგორც იცით, ზოგან თავისი ფურნეები აქვს და ჰფიქრობს კიდევ გაიჩინოს ფურნეები. ასე რომ ცოტა ხნის შემდეგ ქალაქის თვითმართველობას საკმაოდ ექნება საკუთარი ფურნეები და მაშინ საშუალებაც მიეცემა კერძო მეპურეთა თავგასულობას ბოლო მოეღოს.

**ხმ. რამიშვილი.** გამგეობამ იცის, თუ არა, რომ ქალთა უმაღლეს კურსებთან იხსნება საექიმო ფაკულტეტი და თუ იცის, გამგეობა ხმარობს რაიმე ღონისძიებას, თუ არა, რომ ამ ფაკულტეტზე ლექციების მოსმენის უფლება ვაჟებსაც მიეცესთ?

**ა. ი. ხატისოვი.** არ შეიძლება, რომ ეს ამბავი ქალაქის გამგეობამ არ იცოდეს, ვინაიდან ქალთა უმაღლესი კურსები ქალაქის ღვიძლი შვილია და იქ რაც ცვლილება მოხდება, ჩვენთვის საიდუმლოებას არ შეადგენს. საექიმო ფაკულტეტზე ვაჟების დაშვების შესახებ ლექციების მოსასმენად ჩვენ დიდი ხანია ვმეცადინეობთ და იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი მეცადინეობა უნაყოფოდ არ ჩაივლის, კურსების სამზრუნველო საბჭოში წევრებად არიან გ. დ. ჟურული და ხმოსანი ალდადანოვი, იქვე ლექციას კითხულობს ქალაქის ექიმი არუთინოვი და ყველა ესენი ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს, რათა ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას. გარდა ამისა უმაღლეს საექიმო კურსების სასარგებლოდ ქალაქმა 10,000 მანეთიც გადიდვა.

**ქალქიდან გასული ხმოსნები.**

ქალაქის მოურავმა წაიკითხა სია იმ ხმოსნებისა, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზის გამო ქალაქიდან გასულან და შეძლება არ აქვთ საბჭოს კრებებს დაესწრონ. სულ 18 ხმოსანია წასული.

**ტრამვაის მოსამსახურეთა შუამდგომლობა.**

გამგეობის წევრმა გ. ჟურულმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა ტრამვაის მოსამსახურეთა შუამდგომლობის გამო. მოთხოვნილება მოსამსახურეებისა ასეთია: 1) ცხოვრების გაძვირების გამო მოსამსახურეთა ჯამაგირს უნდა მიემატოს 50% სასყიდელი მიემატათ ყველა დარგის მოსამსახურეთ. 2) მოსამსახურეს წარმატება ეძლევა ნამსახურობის რაოდენობის მიხედვით. ამ გარდაწყვეტილების შემოვლა შეუძლიან შერეულ კომისიას იმ შემთხვევაში, როცა ნამსახური კაცი შესაფერისი არ დარჩება ახალი თანამდებობისათვის. ყოველივე დავა მოსამსახურის გადაყვანის ანუ დათხოვნის შესახებ უნდა გადასწყვიტოს შერეულმა კომისიამ. 3) მობილიზაციის გამო ჯარში გაწვეულ მოსამსახურეთ ენახებათ ადგილი და ჯარიდან დაბრუნებისას დაუყოვნებლივ იჭერენ თავიანთ ადგილს. ადგილზე დაბრუნების შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს 3 თვისა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან. ჯარში გაწვეულთა ოჯახებს ეძლევათ იმდენი დახმარება, რამდენიც დაწესებულია საერთოდ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის. 4) თუ რომელიმე მოსამსახურე დროებით გადაყენებულ იქმნა სამუშაოდან იმის გამო, რომ იმაზე ეჭვი აიღეს სამსახურს სინდისიერად არ ასრულებსო, მაგრამ შემდეგ ის უდანაშაულო თუ აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში იმას უნდა მიეცეს სრულად მისი ჯამაგირი ანუ ქირა, რაც უკვე დააკლდა. 5) ყველა კვირა-უქმე დღეს მოსამსახურენი და მუშები თავისუფალნი არიან მუშაობისაგან, როცა ასეთი განთავისუფლება შეუძლებელია მუშაობის ვითარების გამო საქმის ამა თუ იმ დარგში, იმ შემთხვევაში კვირა-უქმის ნაცვლად თავისუფლება ეძლევათ იმავე კვირაში ერთ-ერთ დღეს მთელი 24 საათის განმავლობაში სასყიდლის შენახვით. 6) ყველა სადგურზე და ლიანდაგის თავსა და ბოლოში უნდა იდგეს საკმაო რიცხვი კონდუქტორებისა და ვატმანებისა, რომელნიც მომუშავეთ შეენაცვლებიან ნახევარი საათით მაინც, რათა უკანასკნელებს შეძლება მიეცეთ საჭმლის მიღებისა და ბუნებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. მოთხოვნილების ეს პუნქტი გავრცელებულ უნდა იყვეს მოძრაობის ყველა დარგის მომუშავეზე. 7) სახელოსნოებში ფიცრის იატაკი უნდა დაიგოს. 8) ვენტილიაცია უნდა გაკეთდეს სადურგლოში, სამღებროში, მექანიკურ სახელოსნოში და ცენტრალ სადგურში. 9) ყველა სახელოსნოში თავისს დროზე უნდა მიეცესთ მომუშავეთ სუფთა და დეზინფექციაში გატარებული ტილოები.

ეს მოთხოვნილებანი 27 თიბათვეს საბჭოს დადგენილებით გარდაეცა წინასწარ განსახილველად გამგობის საფინანსო-საბიუჯეტო და სატრამვაიო კომისიების შეერთებულ კრებას. ამ კრებულს განუხილავს შუამდგომლობა და არსებითად სასურველად უცვნია სასყიდლის მომატება, ამასთანავე კრებულს მიუღია მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გ. დ. ჟურულის ფორმულა, რომელიც შემდეგში გამოიხატება:

ვატმანის ანუ კონდუქტორის ძირითად დღიურ ჯამაგირის ნორმა უდრის 1 მანეთს. ამ ნორმას პირველად უსახელო საზოგადოებამ მიუმატა ომის გამო 45 კაპ.; შემდეგ, მიმდინარე წლის მარტში ქალაქის საბჭომ მიუმატა კიდევ 45 კაპ. ამ რიგად თითო კაცს დღიურად გაუხდა 1 მან. 90 კ. ეხლა კიდევ 50 პროც. მომატებას თხოულობენ (ე. ი. თითო კაცზე დღიურად 50 კაპ.) და ამ რიგად კაცის თავზე იდვა 2 მან. 40 კაპ. ამ ანგარიშის მიხედვით წლის დამლევამდე უნდა ზედმეტი მიეცეთ 193.968 მანეთი, რომელიც კრებულის აზრით განაწილებულ უნდა იქნას უკუღმა პროპორციით.

მაგრამ იმავე ბ-ნ გ. ჟურულის ანგარიშით ტრამვაის შემოსავალ-გასავლის მდგომარეობა ასეთია:

ხარჯთ-აღრიცხვით ტრამვაის საერთო შემოსავალი ნავარაუდევია 2.100 ათასი მანეთი. ამ თანხიდან 1 თიბათვემდე შემოვიდა 1.216 ათასი მან.; წლის ბოლოსთვის საერთო შემოსავალი მოსალოდნელია 2.390 ათასს მანეთამდე. წმინდა შემოსავალი უნდა დარჩეს 623. ათას მანეთამდე, მაგრამ ამ თანხას შემდეგი ანგარიშები უდგას წინ: 1) ბელგიის უსახელო საზოგადოებას უნდა მისცეს ქალაქმა 78—225 ათას მანეთამდე; 2) ამორტიზაციის ფონდის გასაახლებლად საჭიროა 100 ათას მანეთამდე; 3) საქმის გასაუმჯობესებლად სესხად აღებულ უნდა იქმნას 1.000.000—1200.000 მანეთამდე, რასაც წლიურად სარგებელი მოუნდება 70 ათას მანეთამდე; 4) სათადარიგო მასალების შესაძენად საჭიროა 200 ათას მანეთამდე; 5) პროცენტების გადადება ქალაქის სასარგებლოდ, თანახმად ქალაქის ხარჯთაღრიცხვისა, 108 ათასი მანეთი და სხ.

ამ ანგარიშით მოსამსახურეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არსებულ შემოსავლიდან ფული აღარ რჩება. ამიტომ შეერთებულ კრებას გადაუწყვეტია, რომ შაურიან ბილეთებს მიემატოს თითო კაპეიკი და ამ რიგად გახდეს 6 კაპ. და აგრეთვე აბონენტებსაც შესაფერისად მიემატოს თითო კაპეიკი, რაიცა წლის განმავლობაში შემოიტანს 428.000 მანეთამდე. ეს ფული მოსალოდნელ ზედმეტ ხარჯებს სავსებით გაუძლვება.

ამასთანავე მომხსენებელმა საბჭოს წარუდგინა ცნობები შესახებ იმისა, თუ რამდენს ღებულობენ მოსკოვის ტრამვაის მოსამსახურენი. ცნობები ეხლა დაუბარებია ბ-ნ ხატისოვს დეპეშით.

მოსკოვში ვატმანსა და კონდუქტორს ერთნაირი ჯამაგირები ჰქონიათ. ომიანობამდე თითო კაცი იღებდა იქ 37 მან. 50 კაპ.; ომის გამოცხადებისას უცოლო მოსამსახურეს პირველად მიჰმატებია 5 მან. და შემდეგ კიდევ 15 მანეთი. ამ რიგად უცოლო მოსამსახურე ღებულობს დღეს 57 მ. 50 კაპ. ცოლიან მოსამსახურეს ეძლევა ამაზე ზედმეტი 5 მან., ე. ი. სულ თვიურად 62 მან. 50 კ. შვილიან მოსამსახურეს კიდევ ზედმეტი ეძლევა 10 მანეთი, ე. ი. სულ 72 მან. 50 კაპ.

მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია.

**ხმ. იოანისიანი** საჭიროდ სცნობს, რომ ამ საკითხის განხილვა ჯერჯერობით იურიდიულ კომისიას გადაეცეს, რადგან ამას მოითხოვს საქმის ვითარება და ქალაქის ინტერესები. ორატორი თავისს წინადადებას იმით ასაბუთებს, რომ ჯამაგირების გადიდება იწვევს ტარიფის გადიდებასაც, ხოლო ტარიფის გადიდების უფლება ქალაქს არ აქვს ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან არსებულ ხელშეკრულობის ძალით, ვინაიდან საზოგადოებასთან ქალაქს ჯერ საქმე არ გაუთავებია და საქმე რომ ქალაქმა წააგოს, მაშინ ხელშეკრულობის რომელიმე მუხლის შეცვლა ქალაქისათვის დიდად სახიფათო დარჩება. ორატორი თხოულობს, რომ მის წინადადებას დაუყონებლივ ეყაროს კენჭი.

**ხმ. ვაჩნაძე** იმ აზრის არის, რომ მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატებისათვის სრულებითაც საჭირო არ არის, ტარიფის გადიდება რადგან ტრამვაის შემოსავალი ისედაც კარგად დაჰფარავს ყველა ხარჯებს.

**ხმ. ი. მ. დოლუხანოვი** ემხრობა ხმ. იოანესიანის წინადადებას და თან დასძენს, რომ არა თუ ტარიფის გადიდების, არამედ მოსამსახურეთა ჯამაგირების უფლებაც არ აქვს ქალაქს, სანამ ბელგიის საზოგადოებასთან საქმე სავსებით არ დამთავრებულაო.

**ხმ. რამიშვილის** აზრით არავითარი ორგანიული კავშირი არ არსებობს სასყიდლის მომატებასა და ტარიფის გადიდების შორის, ამიტომ იგი წინააღმდეგია, რომ საქმე იურიდიულ კომისიას გადაეცეს, ვინაიდან კომისიისათვის საქმის გადაცემა მის დასამარებას მოასწავებს.

**ხმ. გოთუა** თხოულობს, რომ საკითხი ეხლავე გადაწყდეს თანახმად შეერთებულ კრების დადგენილებისა.

22 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 12-სა საბჭომ დაადგინა, რომ საქმე გადაეცეს წინასწარ განსახილველად იურიდიულ კომისიას, რომელმაც თავისი დასკვნა 1 კვირის განმავლობაში უნდა წარმოედგინოს საბჭოს.

**ხმ. გოთუა.** ვინაიდან საბჭოს ჯერ მსჯელობა არ ჰქონია შესახებ იმისა, რომ შეიძლება თუ რა სასყიდლის მომატება ტარიფის გაუდიდებლად, თავმჯდომარეს უფლება არა ჰქონდა საკითხის იურიდიულ კომისიაში გადაცემის შესახებ ხმა ჩამოეტარებინა. მე გადაწყვეტილების თანახმა არა ვარ და ჩემს მოსაზრებას წერილობით წარმოვადგენ.

**ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შუამდგომლობა.**

გამგეობის წევრმა გ. ჟურულმა მოხსენება წაიკითხა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შუამდგომლობის გამო. მოსამსახურენი ჯამაგირის მომატებას თხოულობენ ცხოვრების გაძვირების გამო.

წარსული წლის 1 თიბათვეს საბჭოს დადგენილებით 10,000 მანეთი გადაიდვა ხუთ-ხუთი მანეთის მისამატებლად იმ მოსამსახურეთათვის, რომელთაც 35 მანეთამდე ეძლეოდათ თვიური ჯამაგირი. წარსული წლისავე ქრისტეშობისთვეში ამ თანხას საბჭომ კიდევ მოუმატა 2,000 მანეთი. მიმდინარე წლის 11 იანვარს საბჭომ ყველა მსახურთათვის მისამატებლად გადასდვა 162,477 მან., რომელიც უკუღმა პროპორციით უნდა გაენაწილებინათ მსახურთათვის. ამ ჟამად მოსამსახურეთ კიდევ უთხოვნიათ 377,119 მანეთის მომატება, რომელიც აგრეთვე უკუღმა პროპორციით უნდა განაწილდეს და თითო კაცს ერგება 65—10%-დე.

ქალაქის გამგეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შეერთებულ კრებას განუხილავს ეს შუამდგომლობა და საჭიროდ უცვნიათ, 1 მკათათვიდან წლის დამლევამდე მიემატოთ მოსამსახურეთ 116,500 მანეთი, რომელიც განაწილებულ უნდა იქნას უკუღმა პროპორციით.

გამგეობამ, წარმოიდგინა-რა ეს მოხსენება, განაცხადა, რომ ქალაქს სხვა არავითარი წყარო არ აქვს, გარდა იმედისა, რომ დარჩენილი ვალებიდან შემოვა ერთი ნაწილით.

მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია.

ხმოსნები ი. მ. დოლუხანოვი, ევანგულოვი, ხუნუნცი, ტიგრანოვი და სხ. ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია მომატება სასყიდლისა, მით უფრო, რომ ქალაქს ფული არ მოეპოვება, ვალის აღების იმედი მცხოვრებლებისაგან ტყუილია და ქალაქი დიდ გასაჭირში ჩავარდებაო.

ხმოსნები რამიშვილი, გოთუა, ბაზოვი, მმზნანოვი, ერზიკიანცი და აგრეთვე ქალაქის მოურავი ბ-ნი ხატისოვი და გამგეობის წევრი გ. ჟურული თავგამოდებით ამტყიცებდნენ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საჭიროებას.

ბოლოს, როცა საკითხი სავსებით გამოირკვა და კენჭი უნდა ეყარათ, კვორუმი აღარ დარჩა და საკითხის გადაწყვეტა შემდეგისათვის გადაიდვა.

კრება ნაშუაღამევის 1 საათზე დაიშალა.

## პატარა საუბარი გლეხთან

**წერილი III.**

1. მეურნეობა. 2. კოოპერატივები. 3. მტრობა-შური. 4. უსუფთაობა.

(დასასრული. იხ. „საქართ." № 148)

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გლეხობას ამ უკანასკნელ დროს ყოველმხრივ ეტყობა წარმატება! მალე თვითონვე დარწმუნდება გათვითცნობიერებული გლეხობა, რომ მისი ხსნა მხოლოდ ეროვნულ ეკონომიის განვითარება-გაძლიერებაშია, ამას მოწმობს დღითა დღე ზრდა მომხმარე საზოგადოებისა. ჩვენში მომხმარებელ საზოგადოების, კოოპერატივების ნანვითარება მოძრაობის დროიდან დაიწყო, მაგრამ კოოპერატივს გლეხობა პირველ ხანებში უნდობლობის თვალით შეჰყურებდა; ეხლა კი დრო გამოიცვალა: საშინელი, უმაგალითო ომისაგან შექმნილმა პირობებმა ყველაფერი მამისისხლად გახადა, ჩარჩ-ვაჭრების სპეკულიანტობას ხომ საზღვარი აღარ უდევს და გლეხიც დარწმუნდა, იმანაც სავსებით შეიგნო, რომ მხოლოდ კოოპერატივების საშუალებით შეიძლება თავის დახსნა სიძვირისაგან და გაუმაძღარ ჩარჩ-ვაჭრების ბრჭყალებიდან და სწორეთ ამ შეგნების ნაყოფია რომ ჩვენი სოფლები იფინება კოოპერატივებით; მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი დაბრკოლება კიდევ ეღობება ჩვენში კოოპერატიული დუქნების გამრავლებას, ეს არის უნდობლობა ურთიერთ შორის, მაგ. ხშირად გამიგონია გლეხებისაგან: „ჩვენც გავიგეთ, რომ ის საამხანაგო დუქნის დაარსება ჩვენთვის სარფაა, მაგრამ საქმე იმაშია, ვიშოვნით თუ არა დუქანში დასაყენებლად სანდო, საიმედო კაცს, რომ დუქანი არ შეგვიჭამოსო".

მართალია, უწინ როცა წესიერად არ იყო დაყენებული კოოპერატიული დუქნის წარმოების საქმე და არც მოიპოვებოდა სოფლად დუქნის ხელმძღვანელი, სამწუხაროდ ხდებოდა ასეთი მაგალითები—ხშირად ფლანგავდა დუქნის ქონებას ხალხისაგან ამორჩეული დუქანში მოვაჭრე, მაგრამ როგორც ზევითაც მოვიხსენიე ეს იყო შედეგი დუქნის საქმეებისა, ახლა კი მადლობა ღმერთს თითქმის ყველა სოფელში მოიპოვება კოოპერატიული დუქნის რიგიანი მწარმოებელი და თვითონ გლეხებსაც მეტი შეგნება აქვთ შესაფერისათ ადევნონ თვალყური მომხმარებელ დუქნის წესიერ მსვლელობას; ეხლა ძალიანაც რომ მოინდომოს ვინმემ ხელ-უკუღმართობა დუქანში როგორ გაბედავს და ან როგორ მოახერხებს- საქონლის რაოდენობა დაწერილებით ცალკე იწერება დუქნის საწარმოო დავთარში, ნასყიდობის ფასი და გასასყიდელი ნიხრი კიდევ ცალკე დავთარში; კიდევაც რომ ვინმემ გაბედოს ბოროტმოქმედება მისი ჩამდენი მაინც ვერ დაიმალება; ასე რომ ამ დაბრკოლებამ გლეხები არ უნდა შეაშინოს და თუ ჯერ კიდევ რომელიმე სოფელში არ არსებობს კოოპერატიული დუქანი, დაჩქარებით უნდა შეუდგნენ მის დაარსების საქმეს თუ უნდათ სარგებლობაც ნახონ დუქნიდან და ჩარჩებისაგანც დაიფარონ თავი, რასაკვირველია, გლეხები უნდა ეცადენ საქმეს სათავეში სანდო და მცოდნე პირები ჩაუყენონ.

არ იქნა დღემდე ვერ შეიგნო გლეხმა, რომ ერთმანეთში უსიამოვნება, მტრობა, შური, ძირს უთხრის ყოველივე კეთილ საქმეს. ხშირია გლეხებში ჩხუბი. სულ უბრალო მიზეზია საჭირო, რომ კეტები დაატრიალონ მაგ. რომ შევიდეს ივანეს ან პეტრეს ცხვარი მეზობლის ყანა-ბოსტანში, მორჩა, ომი გამართულია, ჩხუბითაც არ იციან ხშირად დაკმაყოფილება—იციან სამაგიეროს გადახდა, შურის ძიების ნიადაგზე ერთმანეთს უჩეხენ ვენახს, სწვავენ თივას, უკლავენ საქონელს და სხვა, სამაგიეროს გადახდა განსაკუთრებით გავრცელებულია ქართლ-კახეთში; ყოველივე ეს შეუგნებლობის ბრალია; თუ მეზობელმა ზარალი მოგცა, რა შუაშია განგებ ვენახის აჭრა ან თივის დაწვა. დაუძახე ორ სამ მეზობელს, ზარალი შეაფასებიე და გადაახდევინე დამნაშავეს; ეს არც საწყენია და სამართლიანიც არი. გლეხებში უნდა არსებობდეს მჭიდრო მეზობლური კავშირი, ერთმანეთის წყენას უნდა ერიდებოდნენ, უნდა გაიმსჭვალონ ურთიერთის სიყვარულით, ჭირშიაც ერთნი უნდა იყვნენ და ლხინშიაც; თითეული სოფელი ერთ შეერთებულ ოჯახს უნდა წარმოადგენდეს; როცა გლეხებში ერთი პირია მაშინ ყოველივე სასოფლო საქმე კეთილათ მიდის; ისედაც საკმარისათ ყავს გლეხს გარს შემოსეული მტერი, ერთმანეთის სიყვარული, ნდობა. პატივისცემა მტერს გარედ დაუყენებს თვალებს და შიგნით კი მოყვარეს გაახარებს; უნდა მოისპოს, ერთმანეთში მტრობა და შური.

* *
*

ჯანმრთელობა ერთი საუკეთესო თავდებია გლეხობის კეთილდღეობისა. ჯან-საღ სნეულში, საღი, მხნე სულიც ტრიალებს; არის კი ჩვენი გლეხი, მისი ოჯახი ჯანმრთელი? სამწუხაროდ არა, ამ მხრივ ჩვენი სოფლის სურათი უნუგეშოა: ჰავა საღია, სახე კი ბევრს აქვს ჩამოყვითლებული, დასნეულებული, სნეული; ავადმყოფის მოვლა მაინც იცოდეს ჩვენმა გლეხმა. სანამ სიკვდილის პირზე არ მიდგება ავადმყოფი, მანამ არ აჩვენებენ ექიმს, მომაკვდავს ექიმი რაღას უშველის, და ხარჯი უქმად იკარგება; საუკეთესო საშუალება ჯანმრთელობისათვის ეს სისუფთავეა, მაგრამ... მაგარიც და სამწუხაროც ის არი რომ ჩვენ გლეხს სისუფთავე არ უყვარს; რა არის ამის მიზეზი, ვითომ სიღარიბე? სრულიადაც არა—მიზეზი უყურადღებობა, დაუდევრობაა: ხანდისხან ისე დაეხევა მუშაობაში გართულ გლეხს პერანგი. რომ შეიძლება ერთხელაც არ გარეცხოს და რასაკვირველია ჭუჭყი შეაწუხებს, ჭუჭყი ხომ ყოველგვარ ავადმყოფობის ბუდეა; ისე გაივლის წელიწადი რომ გლეხი ტანს არ დაიბანს. დაუდევრობა, დაუდევრობა თორემ მადლობა ღმერთს, ჩვენი გლეხი არც ისე ღარიბია, რომ ორი წყვილი თეთრეული ვერ იქონიოს, რომ გარეცხოს და გამოიცვალოს; ან კიდევ რა დიდი საქმეა, ჩვენში, სადაც მდინარეები თითქმის ყველა სოფელში მიჩუხჩუხებენ, აბანოს გაკეთება; ერთი აბანო მთელ სოფელს ეყოფა; დროა, დროა, გლეხმა შეიგნოს, სისუფთავის დიდი მნიშვნელობაც.

ამით ვათავებ ჯერჯერობით გლეხთან პატარა, საუბარს, დარწმუნებული ვარ, ჩემი უბრალო საუბარი უბრალოდ არ ჩაივლის...

*გრ. საქარიქედელი.*

# თეატრი

**ხარფუხის კლუბი.**

ოთხშაბათს, 6 თიბათვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

**დ. ბორჯომი.**

დღეს, 6 მკათათვეს, ბორჯომში იმართება საყურადღებო რუსულ-ქართული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ: ცნობილი მომღერალი **ი. პ. სარაჯიშვილი** და ქართველი და რუსი მსახიობნი ქ-ნნი: ბაუერი, ბელნიკოვისა, კონდრატიევისა, რაევსკისა და სხვ. ბ-ნნი: ტომილინი, ვალ. შალიკაშვილი, ალ. იმედაშვილი, თაგუნა, ი. ჟივიძე და სხვ.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | 58 „ | საღ. |


**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც სურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russepour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève


ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჯვლოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძეთა, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „ზერნისტი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.